

საქართველოსათვის

პარიზი, ორშაბათი 10 აგვისტო 1925 წ.

No. 6.

Paris, Lundi 10 Août 1925

გეორგიული პოლიტიკის ორგანო სპირიდონ კედია
კამპატივით.

Journal Géorgien «POUR LA PATRIE», Organe de la
Politique Nationale, Directeur: SPIRIDON KEDIA.

ფასი 2 ფრანკი

Rédaction et Administration: 9, Rue Oudinot — PARIS (7^e)
Téléphone: Ségur 57-36

Prix: 2 frs.

კილოანის ხალხი.

ჩვენ წინ დევს „ბრძოლის“ პირველი ნომერი. იგია ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროსი, eo ipso საქართველს მთავრობისაგ. ყურნალში მეთავსებულა მთავრობის წევრების წერილები და აგრეთვე წერილები პარტიის სხვა კვლავების—ბ.ბ. ი. წერეთლის და ნ. ჩხეიძის; არის კიდევ სტატია პატივცემული მღვდლის კ. კაუცკის, რემელიც, არ უნდა დაგვაფიყდეს, საქ. სოც.-დემ. მუშათა პარტიის მეორე ყრილობამ, 1920 წლის ივნისში, საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია აქსელრედთან ერთად. ამგვართ, ამ ორგანოში გამოგვეცხადა მთელი ქართული მენშევიზმის ის დაპრემიებული ინტელექტი, რემელმაც ისტორიულათ აღზარდა და ჩამოაყალიბა საქ. სოც.-დემ. პარტია.

ამდენი ხნის სიჩუმის შემდეგ, ამ ხალხის ერთბაშად გამოვსლა საკუთარ პრესაში შეიძლებოდა ძალიან გასახაროც ყოფილიყო. ყველა დიდის ცნობისმცყვარეობით მოვლდა ამ ორგანო, რომლის აუცილებელი გამოვსლა, კარგა ხანია სარწმუნო წყარებიდან იყო დადასტურებული. რანაირი იქნებოდა პირველი დაბეჭდილი სიტყვა ამ ხალხისა? რა აზრითა და გრძნობით, რა ტონითა და სიყვარულით იქნებოდა იგი ნააღერსევი და აუღერებელი? ეს ხალხი ხომ ის ხალხია, რემელიც საქართველს ეროვნულ მთავრობას წარმოადგენს; ეს ხომ ის ხალხია, რემელმაც ერთხელ ჩაიბარა და დაჰკარგა საქართველს დამოუკიდებლობა; ხომ ყველამ იცის, მტერმაც და მოყვარემაც, შინაურმაც და უცხოემაც, რომ ეს ხალხი აგერ ხუთი წელიწადია რაც ამ ემიგრაციაში საქართველს სახელით იბრძვის საქართველს დამოუკიდებლობის აღსადგენათ...

საქართველოში კი ეს ხუთი წელიწადი, უღრმესი ეროვნული რევოლუციის წლები შეიქმნა; ეს ხანა იქ აღნიშნულია, ეროვნული ინსტიტუტის, ეროვნული შეგნებისა და სამშობლს იდეის უზენაესობის ყველა

საკვირველებით: გმირობა, მოწამებრიობა, თავდადება სამშობლს სადიდებლათ.

საქართველს ისტორიის ამბები, ლეგენდებით რომ გვეჩვენებოდა, დღეს ჩვენს თვალწინ ცოცხალ სინამდვილეთ განმეორდა.

და ეს ხუთი წლის მტკიცე ბრძოლა თავის წმიდა სხვერბლებით ხომ ამ ხალხის სახელის გარშემო სწარმოებდა, როგორც ეროვნული მთავრობისა. მდგომარეობით, იგი მეთაურია, ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი იმისა, რასაც საქართველს ეროვნული ბრძოლა ჰქვიათ საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ.

დიდი ეროვნული ბედნიერება და საშინელი უბედურება, ერთი მეორეზე იშვიათი,—შეუჩგრებელი რიგრიგობით თავს დაატყდა ქართველ ხალხს; ჩაწყვტილი უიმედობის ჯურღმულიდან, რამდენჯერ აქანებულა იგი აფრთვანებული იმედის მწვერვალზე, რომ კვლავ ხელ-ახლავ გადაჩხილიყო! რა ქარიშხლიანი ცხოვრება და ღრმათა უღრმესი განცდები გამოიარა ქართველმა ერმა! ეს ხუთი წელიწადი ხომ მთელი საუკუნეა! ამ მოვლენებში ქართველი ხალხი ახლად დაიბადა. მან დაინახა ყველაფრის წარმატებლობა, მაგრამ იწამა სამშობლს განუქრობლობა და მისი უზენაესობა. იგი დარწმუნდა, რომ ყველაფერი იქნებოდა და ამაღ, თუ ქართველობა არ დარჩება ამ ქვეყნათ, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ერი. ამიტომ ქართველობა და საქართველო შეიქმნა მისი დევიზი, მისიანი მისი სიცოცხლის. ამ სამშობლს და მისმა დროშამ—და მხოლოდ ამან—გააერთიანა ყველა ქართველი. სამშობლს ინტერესის ამ სინტეზმა და მისმა იდეალიზაციამ მოიგვა ქართველი ხალხი. ამ მალღობიდან იგი მიიწი არ ეშვება, რადგან იცის რომ მის ქვემოთ იწყება ინტერესების პარტიკულარიზაცია, მამასადამე ეროვნული დამლა და დაქსახვა. აი რა თვალმუხწორებელი სანახაობაა დღევანდელი საქართველო! ვინც გრძნობს და ხედავს,



მისთვის დღეს დგას ქართული პატრიოტიზმის გმი-
რული ეპოხი...

და ყველა ფიქრობდა, რომ ქართველი ერის
მთელი ეს თავგადასავალი მისი გადახვეწილი მთავ-
რობის მიერ სავსებით განდგომილი და შეთვისებული
იყო; რომ მანძილი დაძლეული იყო და მათ შორის
სრული თანაზიარება სუფევდა. და რა გასაკვირია,
თუ ამის შემდეგ ყველა დიდის ცნობის მოყვარეობით
მოელოდა პირველ სიტყვას იმ ხალხისა, რომელიც,
როგორც ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთა-
განი ქართველი ერისა, ამ უკანასკნელის განცდათა
ასახულება უნდა ყოფილიყო! ნეტამც ყოველთვის
მოდლოდინში ვყოფილიყავით და გადარაზული კიდე-
ბანი არ გახსნილიყო!..

რაც შეიძლებოდა გასახარი ყოფილიყო, ის სა-
მწუხაროდ სინამდვილეთ გადმოგვეშალა. აწ ილუზია
შეუძლებელია. მაგრამ იტყვიან, ჭირი გამქდავებული
სჯობიაო. თუ ასეა, კიდევ მადლობა დმერთს...

* *


ახლა ავხსნათ კიდობანი. აი პირველი მეთაური
წერილი. ერთის მოქმედებით თქვენ შეყავხართ ინტერ-
ნაციონალური სოციალიზმის შუაგულში და მაშინათ-
ვე იგებთ, რომ ამ სოციალიზმს ორი მტერი ჰყავს, ახა-
ლი და ძველი—ბურჟუაზია და ბოლშევიზმი. ორივეს-
თან ბრძოლა და ორივესი დამარცხება, აი მდრივი
ამდგანა სოციალისტური ინტერნაციონალის და მამა-
სადამე საქ. სოც.-დემოკრატიისა.

ჯერ ბოლშევიზმია დასამარცხებელი და ვიდრე
ეს მოხდებოდა, დროებითი ზავი ბურჟუაზიასთან, ვი-
ნაიდან ეს უკანასკნელი ბრძოლის უფლებრივ საშუა-
ლებას მაინც აძლევს თავის მოპირდაპირეს! მაგრამ
რა ბრძოლაა ეს ბრძოლა, ან ვისი სახელით და რა
პლატფორმით უნდა მოხდეს იგი? მეთაური წერილის
ბრძოლამული დანიშნულება სწორეთ ამის პასუხში
მდგომარეობს. ეს ბრძოლა უნდა სწარმდებდეს არა
ერთვნილი სახით, არა ერთვნილი დოკტრინის ან
სამშობლო კონცეპციის არგუმენტებით და ტაკტი-
კით, არამედ სოციალისტური ინტერნაციონალის სა-
ხითა და მისი სოციალ-პოლიტიკური მეთოდებით!.. მი-
ხანი მიღწეულია: ქართული სოციალ-მენშევიზმი
უკვე მთელი ერთვნილი საქართველოდან გამიჯნუ-
ლია იდეოლოგიურათ და ტაკტიკურათ ამ ერთვნი-
ლი ბრძოლის ბრძოლაში!.. დიდი ერთვნილი ავხსნა,
სამშობლო მადალი კულტი და თავდადებული პატ-
რიოტიზმი, რომელიც ამ ხუთი წლის განმავლობაში
სტიქიურის ძლიერებით მთელ ქართველ ხალხს მო-
ედო, ამის თქმას ასე ახდილათ შეუძლებელს
ყოფდა; და იყო ძალა-უნებური მიყოლა და მოვლე-
ნის ჩუმი დასტური, თუმცა შინაგანი ყრუ წინააღ-
მდეობა არახდეს შეწყვეტლა. ხოლო აჯანყების შემ-

დეგ, რეაქციის ხანა დგება და ამას ატანა უფრო და
უფრო აუტანელი ხდება... მომხიბვლებს გამდილია და
ბატონი ნ. ყორდანი... კეთილს მკსნევერ გამდილ-
ებს ცალკე ბრძოლებში, თუ პარტიის ბიძართ მიწე-
რილ წერილებში. მაგრამ ეს მაინც ის არაა, რაც უნ-
და ყოფილიყო. ახლა კი, სულ სხვაა. დღეს ამას უკ-
ვე გარკვეულათ ლაპარაკობს საქ. სოც.-დემ. პარტიის
სახდვარგარეთელი ბიურო, იგივე საქართველოს მთა-
ვრობა, თავისი ოფიციალური ორგანოს პირით!

კომპარის შემოქმედისგან უკვე თავი დაღწეუ-
ლია. პატრიოტიზმის ბურჟუა, ერთვნილი იდეების
ძლევა-მდხილება გაფანტულია. გადაწყვეტილია უკან
დაბრუნება ერთვნილ თვითმეგნებაში და სამშობლო
იდეის შეთვისება-შეყვარებაში შორს წასული ქართ-
ველი დემოკრატიისა! გამოფენილია უხმარობისგან
ხავსმდებელი იდეები. სავალდებულო ვახდა ის
ძველი ლოზუნგები, რომლითაც 30 წლის განმავლობაში
სამშობლო სახელი იმარხებოდა. საქმე თავი-
დან იწყება. გიხაროდესთ მტერი დამარცხებულია!

მამ დავისხდომთ, რომ „ბრძოლაში“ ინტერნაცი-
ონალის სახი და სოციალისტური მეთოდი წამოყენე-
ბულია, როგორც საქართველოს ერთვნილი პოლიტი-
კა. რა კი ერთხელ ამ ვახსნედ ამვართ შესდგენს,
ცხადი იყო რომ აქ წერტილს არ დასვამდენ. ანს უსა-
თუოდ ნანც უნდა მოჰყოლოდა. ხოლო როგორც
ანის თქმაში არა, ისე ბანის თქმაშიაც, ბ-ნ ყორდანი-
ას „ბრძოლასთვის“ არ დაუფდია. მან ადრე განაცხადა,
რომ ერის სუვერენობა თუ ვახალური ყოფა, მისთვის
არახდეს პრინციპის საკითხი არ ყოფილა, არამედ
მხოლოდ ცვალებადი პოლიტიკის საგანი. ამგვართ,
საქართველოს ბრძოლება, ერთიანად დაუმოკიდა რუ-
სეთის რეჟიმის საკითხს. შერეულ-შემოღრეული პარ-
დოქსებისა და საეჭვო ისტორიული ილუსტრაციების
შემდეგ, იგი დაასკვნის: „პოლიტიკური და სოციალუ-
რი რეაქცია—აი რითი შემოვიდა რუსეთი მეორეჯერ
საქართველოში და აი რატომ ვართ და ვიქნებით მი-
ხი წინააღმდეგი“ (ის. „ბრძოლის საკითხები“). ეს
აბნაცი ეჭვს არ სტევებს. რომ რუსეთი იმ სოციალ-
პოლიტიკური ბრძოლამით შემოხულიყო საქართვე-
ლოში, რომელიც ბ-ნ ყორდანისა მოხწონს, მაშინ მის
წინააღმდეგ არ წავიდოდა, ე.ი. საქართველოს დაბ-
ყრობას პრინციპილურად შეუთრევდებოდა! ბოლშე-
ვიზმიც ამ ლოდიკით მოექცა საქართველოს და ამ
ლოდიკის ძალით დაიპყრო იგი. რომ რუსეთში დე-
მოკრატიული რეჟიმი დამყარდეს, მაშინ ბ-ნ ყორდა-
ნის მოძღვრებით, დემოკრატიულ საქართველოს და-
მოქუციდებლობას თურმე თავისი raison d'être-ი დაე-
კარგება. და ეს იმიტომ, რომ მისთვის საქართველოს
სუვერენობა უბრალო რეჟიმის საკითხია რუსეთ-სა-
ქართველოს შორის და სხვა არაფერი.



მაგრამ მეორეს მხრით თქვენ დაინახავთ, რომ ამ აზრებთან ერთად და მათ გვერდით ბ-ნი ქორდანია იცავს და მითხრის საქართველოს დამოუკიდებლობას, მის სუვერენობას. ვინც ამ მოწოდებას იწამებს თავის თავათ და დამოუკიდებლათ, როგორც ავტორის ამოღებულ დებულებას, ის მხოლოდ გულუმბრთიყვილ სხვერპლია ბ-ნ ქორდანიას ქურნალისტური სერხისა. ჩვენ ვიცით ასლა, თუ რა ამის მოტივი. მან ზემოდ დაგვარწმუნა, რომ ამ დამოუკიდებლობის მოთხვნას სარჩულათ მხოლოდ ის უდევს, რომ რუსეთი ბოლშევიკური რეჟიმით შემოვიდა და არა მენშევიკურით!

* *

წარღვნის წინანდელ ეპოქაში გადაყვართ და ბევრ მწარე მოგონებას გვიშლის მეორე წერილი „ერის თვითგამორკვევა“, რომელსაც ხელს აწერს ბ-ნი ნ. ე. მკელი ნაცნობი ინიციალებია ეს და ყველა მიხვდება, თუ ვისთან გვაქვს საქმე. ბ-ნი ნ. ე. მარქსის, კლუგის და საერთოდ მთელი სოციალისტური იდეოლოგიის სახელით, ოცდაათი წლის განმავლობაში ებრძოდა საქართველოს იდეას. დღეს ვადმოძღვრება—აქაღ და მარქსმა კავკასიის დაპყრობის წინააღმდეგ პრეტესტი განაცხადა და ამტკიცებს, ერთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა ეს პრეტესტიარატის საქმეა, სოციალისტური პრინციპია! კეთილი და პატიოსანი! მაგრამ თუ ასე იყო, სად ბრძანდებოდით აქამდის, რად არ შეათვისეთ და შეაყვართ ქართველ პრეტესტიარატს და საერთოდ ქართველ დემოკრატებს საქართველს იდეა? სიყვარულის მაგიერ რათ თქვით მურს და მძულვარებას? ცდებოდით მაშინ და მხოლოდ ასლა განათლდით? თუ ასეა, გაგვარწმუნეთ ერთი გულწრფელი აღსარება და დაგვარწმუნეთ რომ საბოლოოდ „გამოერკვიეთ“ ეროვნულ საკითხში. ასეთი აღსარება გაფანტავს იმ ეჭვებს, რომელსაც ბადებს სხვა თქვენი აზრები და დამშვიდება შეიტანს დაეჭვებულ ეროვნულ აზროვნებაში. მაგრამ ეს ასე არაა. თქვენ ამტკიცებთ რომ წინათაც ისე მართალი იყავით, როგორც დღეს და რომ სვალაც მართალი იქნებით, ისე როგორც დღეს, თუ რომ „ვარემოება შეიცვალა და ისტორიამ ერი შემოაბრუნა“, ე. ი. თუ რომ რუსეთში ბოლშევიზმის მაგიერ, ბ-ნ ნ. შ-ს საყვარელი რეჟიმი დამყარდა, და ამან მკვლევართათ დაგაწყებიათ „სეპარატიზმის“ წინააღმდეგ „გენტრალიზმის“ დაცვა!

ასეთია ქურნალი „ბრძოლის“ პოზიცია საქართველს საკითხში, ე. ი. პოზიცია სოც.-დემ. პარ. საზღვარგარეთელი ბიუროსი და მამახადამე მთავრობასაც.

ასეთი არაა ქართველი ხალხის პოზიცია. ასეთი არ არის იმ ქართველი სოც.-დემოკრატების პოზიცია, რომლებიც დღეს საქართველსათვის სისხლსა


ღვრიან. თავისუფლება საქართველს ი-ეს მათი გარდაუვალი პრინციპია. მათთვის საქართველს უნდა იყოს დამოუკიდებელი ყოველთვის და მარად. მრუსეთის იმისა რა რეჟიმი იქნება რუსეთში—ბოლშევიკური, მენშევიკური თუ მონარქიკული. ეს არის ეროვნული იდეალი ქართველი ხალხის და გადაჭრით ვამბობთ მისი მებრძოლი სოც.-დემოკრატული ნაწილის. მათ იწამეს სამშობლო და მისი უზუნაელობა და ყოველივე კერძო და კლასიური მას დაუმორჩილეს. საქართველში გაბატონდა ეროვნული დოკტრინა, როგორც სინტეზი ყოველი ქართველის და მთელი ქართველობის საერთოდ ინტერესთა და საბოლოოდ მისწრაფებთა. ესაა შედეგი ამ სუთი წლის ეროვნული ბრძოლისა, სხვერპლის და თავგანწირვის.

მხოლოდ, ეს „ნოეს კიდობანი“ დარჩა ამ ეროვნული რევოლუციის გარეთ, შიგ ჩაკეტილი სოციალ-მენშევიზმის პატრიარქებით. მისი „არაწმიდა“ მღახლეობა ერთბაშით და ფრთხა ახალი სანახაობის წინაშე და „ბრძოლის“ ფურცლებზე გამაგებით ებრძვის ჩვენი ეროვნული იდეის და სამშობლოს კულტის გაბატონებას. ეს კიდობნის ხალხი ქვეყანას ამოძვრებს რომ სამშობლოს დამოუკიდებლობა და საზოგადოდ ეროვნული ბრძოლუმა პრინციპის საკითხი არაა, რომ იგი ცვალებადი პოლიტიკის საგანია და შეიძლება დღეს დაიცვა ხოლო ხვალ კი უარყეოდ იმის და მიხედვით, თუ რომელი რეჟიმი იქნება რუსეთში გაბატონებული. ამის თქმა ხომ შექმნილი ეროვნული სიმტკიცის აფეთქებაა. ხომ ამკარა და ცხადია თუ რა ჯუღმბულია გათხრილი ამ კიდობნის ხალხისა და ქართველი ერის შეგნებასა და განცდათა შორის!..

ამ თავდადებული ბრძოლის ხანაში, როდესაც ქართველი ხალხი ეროვნული იდეალით აფრთვანებული ებრძვის შემდგულ მტერს, ჩვენი მძვალეობაა შეგვიკითხვით ამ კიდობნის ხალხს: გწამთ თუ არა სამშობლო, როგორც უზუნაესი ღირებულება და მისი დამოუკიდებლობა, როგორც კულტი? ან ჰო, ან არა. მოკლე და უეკივოდ ბასუხის მიღება საჭიროა ქართველი ერის გამარჯვებისათვის. ამის პასუხს ვკლით.

„ზომონის ბაკვივა“.

საქართველს მთავრობამ და სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ თავიანთი „ბრძოლის“ ფურცლებზე ბრალი დაგვდევს—კედიამ და ასათიანმა ეროვნული ფრონტი გაარღვიეს „და გვერდში ამოუდგვენ საქართველს მოსისხლე მტერთ“. თუ რამე უაზრო და უგუნურო შეიძლება ან ითქვას, ან დაიწეროს, -ეგ სწორედ ესა...თუ თქვენთვის უბრიანია, კვლავაც განავრძეთ ჩვენ წინააღმდეგ ამ წესებით ბრძოლა. ერთი რომ ჩვენც უფრო ნაკლებ გვახვებთ



და მეორეთ—ვინც, ამ ბრალდების შემდეგ, ჩვენ გა-
ზეთს წაიკითხავს, იმის თვალში უკანასკნელ ნდობა-
საც დაჰკარგავთ. და ამაზედ უკეთესი, ამა კიდევ რა
უნდა ურჩიოს კაცმა თავის მღობირდაპირებს?!

„ბრძოლამ“ ერთი მღქნევით მოიწადინა ჩვენი
განადგურება. ასე უბრალდოთ იანგარშია: დღეს მთე-
ლი საქართველო მთლიანობას გაიძახის; ყოველი პა-
ტრიოტის ინსტინქტი და ლოდიკაც გვეუბნება, რომ
ერთობა გამარჯვების ერთი უმთავრესი პირობაა; და
განა საკმარისი არ იქნება, ამ ყოფაში ვისმე ფრონ-
ტი გაარღვევიდ და მღხერხებულათ ინსინუაციის სა-
ყვირი აყვირო, რომ მიწანში ამღვებული სხვერპ-
ლი ერთბაშათ ქვეყანას შეაძაგდ და მიწასთან გაას-
წორდო?! ამ ანგარიშით „ბრძოლამ“ თავისი პარტია
კიდევაც გაითამამა და ეხლა სამკალს ელოდება...

წარმოდგენილი გვაქვს,—ადმფოთების გრძნობა
ერთბაშათ წამოუვლიდა გულმართალ ქართველ კაცს,
რომელიც „ბრძოლის“ ამ ბრალდებას იწამებდა. მაგ-
რამ, რეაქციის წესით, საჭიროდ დაინახავდა ამ მძიმე
ბრალდების შემოწმებას და ამიტომაც, გადაიკითხავდა
კაზეთის „სამშობლოსათვის“ ნომრებს, რომ საკუთ-
რივე შეეფასებია, როგორც ჩვენი ნათქვამი, ისე
„ბრძოლის“ ბრალდებაც. ვინც ასე მოიქცევა, ორ რა-
სმე დაინახავს—„ბრძოლის“ ტყუილის მოკლე ფე-
ხებს და ბ-ნ ყორდანიას ნაწერ-ნათქვამის დაწუნების
აკრძალვას. და ეს საკმარისი იქნება, რომ „ბრძოლამ“
იმდენიც ვერ მოძკას, რომ სათესლე აინაწ-
დაურდს...

მაინც, ასე რომ გაახელა „ბრძოლა“ და მისი
რედაქცია? მხოლოდ იმან, რომ ჩვენ გავბედეთ და
შევვხეთ ბ-ნ ყორდანიას და რომ ისე დავათასეთ მი-
სი ზოგიერთი ნაბიჯი და აზრი, როგორც ეს ჩვენ
გვემოდდა. რა ვსთქვით? ისა რომ ბ-ნი ყორდანია საქ-
მთავრობის თავმჯდომარეა და ეკუთვნის მთელ ერს
და არა რომელიმე კლასს ან წოდებას; რომ ეს მას
ავალდებს ვერმოდ და კლასიურ გულისთქმაზე ამაღლე-
ბას; რომ მისი პოლიტიკა, სიტყვა და მოქმე-
დება ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა შემოიკრი-
ბოს და აღაფრთოვანოს; რომ ბევრგან არც უნდა წა-
ვიდეს და ბევრისგან თავი უნდა შეიკავოს და და-
ვასკვნიდით, თუ ამას ვერ შეასრულებდა, ის თავის
დანიშნულების სიმაღლეზე არ იქნებოდა და ქვეყანას
სარგებლობის მაგიერ ზიანს მოუტანდა.

და აი ჩვენ დავინახეთ რომ ეს ჩვენი მთავრო-
ბის თავმჯდომარე წავიდა მეორე ინტერნაციონალის
კონგრესზე და იქ ხელი მოაწერა ისეთ რეზოლუციას,
რომელიც პუანკარეს პოლიტიკას გმობდა და რურის
ევაკუაციას მოითხოვდა, რომელიც მხარს უჭერდა
რუსეთის იურიდიულ ცნობას, მასთან დიპლომატიური
დასავაჭრო-ურთიერთობის აღდგენას და მის შენახვას,

როგორც მხოლოდ რევოლუციის კერასა... ჩვენ და-
გვგმეთ ეს ნაბიჯი და პოლიტიკა. საფრანგეთის მი-
მართ ეს იყო ყოველი მიუღებელი და ეტაკტო საქ-
ციელი. და ვსთქვით რომ იმ ქვეყნის მთავრობის
თავმჯდომარეს, რომელიც სამკოტა რუსეთს იარა-
დით ხელში ებრძოდა, არ ჰქონდა არც სხეობრივი და
არც პოლიტიკური უფლება მოხისხლე მტრის მოვლა-
პატრონობას დადგომოდა!

ჩვენ შევხეთ ავრეთვე ბ-ნ ნ. ყორდანიას „რა
მოხდას“—და იქ გამომქმული აზრების მიხედვით
აღვნიშნეთ, რომ ბ-ნმა ყორდანია დასტოვა ეროვ-
ნულ-სახელმწიფოებრივი ფრონტი და დაუბრუნდა
პარტიულ ფრონტს; რომ იგი საბოლოოდ დაადგა თავის
პარტიის ჰეგემონიისა და სოციალისტური იდე-
ოლოგიის პოლიტიკას და დავასკვნიდით, რომ ეს
იყო დაბრუნება კლასთა ბრძოლის ქადაგებისკენ და
მამასადამე შინაური ფრონტების გაჩაღება, მტრის
საქმის კეთება და რომ ამის უფლება არ ჰქონდა ბ-
ნ ყორდანიას, თუ იგი იყო საქართველოს ეროვნული
მთავრობის თავმჯდომარე.

ეს იყო და ეს; არსებითად, აი ამან ააჯანყა
„ბრძოლა“ და მთელი მისი სვიტა. თურმე ნუ იტყვიო,
ბ-ნ ყორდანიას შეუძლიან რაც უნდა ისა სთქვას და
როგორც უნდა ისე მოიქცეს, ხოლო შენი მოვალეო-
ბაა გაჩუმდე და არ ამხილო არც ერთი მისი მავნე-
ბელი სიტყვა თუ საქმე! თუ დემერტი გაგიწყრა და
შეეხე, მორჩა და გათავდა, შენ ხარ ქვეყნის დამაქ-
ცევარი და მდღალატე...

თუ „ბრძოლას“ დაუჯერებთ, ჰამბურგის კონ-
გრესი და ბ-ნ ყორდანიას „რა მოხდას“ თურმე იმი-
ტომ მოგვიმიწვესებია რომ ფრონტის დარღვევა გვინ-
და. ეს არის „ბრძოლის“ ფანტაზია ბლოტი განზრ-
ხვით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთ დღეს
ეს სიმართლეთ არ იქცეს და ფრონტი მართლაც არ
გაირღვეს, მთავრობის პოლიტიკის მიხეზისა გამო.

შეიძლება ბევრი ამასი უცბად ვერც კი
გაერკვეს და ამის ნამდვილი მიზეზი მალე ვერც კი
დაინახოს, ჩვენ ამას მაინც არ შეუშინდებოთ. თუ
მოხდა, ეს იქნება შეგნებული აკტი, ეროვნული ინტე-
რესით გამომწვეული. არის ისეთი მომენტი და მდგო-
მარეობა, რომ შემდგარ და მავნებელ ნაბიჯებს ქვეყა-
ნას უფრო აარიდებ, როდესაც დადგები იმგვარი ერ-
თობის გარეთ, როგორც აქ დღემდე სუფევდა. ამასი
წარსულის სიმწარემ დაგვარწმუნა. საქმე ის კი არაა,
რომ ვიღაცის მოსატყუებლათ თუ შესამინებლათ გა-
რეგნული ერთობა აცოდვილო, არამედ ის რომ ამ ერ-
თობამ ქვეყანას მართლაც-და სარგებლობა მოუტანოს,
ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ თუ ჩვენი ქვეყნის
ოფიციალ ჭირისუფალთა წრემ ხელი არ აიდოთ თავის
ძველს პოლიტიკაზე და იმ მუშაობის სისტემა-



ზე, რომელსაც ჯიუტად განაგრძობს დაწყებული საქართველოდან,—ძველებური ერთობის საფუძველზე მასთან თანამშრომლობა, ეს პირდაპირ პოლიტიკური დანაშაული იქნებოდა. და როდესაც ჩვენ წინ საკითხი დადგება: ძველებური ურთიერთობა და ქვეყნის ხელახალი მარცხი, თუ ცალკე ბანაკით გასვლა და მარცხის არიდება, ჩვენ უწყვეტად მთელი ავირჩევთ, რა გინდ უკმაყოფილება არ გამოიწვიოს ამან საქმესთან გაუცნობ გულმართალ ქართველთა წრეში. ეს უკვე ჩვენი საზოგადოებრივი სინიდიის საქმეა. თუ ჩვენი მოვალეობაა შევინახოთ და დავიცვათ საქართველოს ერთვნილი მთავრობა, ჩვენი მეორე მოვალეობა, უადრესათ მოქალაქეობრივი, ის არის, რომ ვამხილოთ მისი ყალბი პოლიტიკა და შემცდარი ნაბიჯები. ხოლო როდესაც შინაურის წესით ეს შეუძლებელი გახდება, მაშინ უნდა მივმართოთ ზედმოქმედების საჯარო იარაღს. ჩვენი მთავრობასთან თანამშრომლობა ესლა სწორეთ ამ ეტაპს მიაღწა. ასე რომ ფრონტის მთლიანობის საკითხი დღეს საკვებით მთავრობის ხელშია. თუ იგი თავის თავს დაძლევა და კარგობების გაკების უნარს გამოიჩინოს, მართლაც და ნამდვილი ერთვნილი ფრონტი გვექნება, თუ არა და, ჩვენი დამოტრება აუცილებელია.

მაშინ ითქმება, რაც საჭიროა და შესაძლებელი და ქვეყანაც თავის მსჯავრს გამოიტანს. ეს საკითხი დიდათ ადელვებს ყველა პოლიტიკურ პარტიას და თვეზე მეტია რაც მის მოსაგვარებლათ ინტერპარტიული კონფერენცია სწარმოებს. ეს ამბავი „ბრძოლას“ ძალიან კარგათ მოესხენება. ამ პირობებში, საქმის ინტერესი მოითხოვდა, რომ „ბრძოლას“ მოეკრიბა თავისი უკანასკნელი ღვთაობა და დასმული საკითხის კეთილ დაგვირგვინებას მიშველებოდა. ამის მაგიერ, თითქმის დასწრებაზე იყო, ჩვენზე დემაგოგიური იერიშით გამოეშურა — „ჭკა მაგათ! ფრონტი გაარდვიეს და საქართველოს მოხისხლე ძტერს გვერდში ამდუდგენენ“. განა არ იცის, რომ ამ ბოროტი ინსინუაციით ვერც საქმეს არგებს და ვერც ვერვის დაარწმუნებს? რასაკვირველია იცის, მაგრამ — „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.

ს. კელია.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“
ბრძოლები.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმის გარჩევა დაიწყო 15 ივლისს 12 საათზე და 5 წუთზე, თბილისის უსენაესი სასამართლო წინაშე. სასამართლო შემოდგენლობა: თავმჯდომარე გ. ვაშიაძე, წევრები ი. სტურუა და ი. ცინცაძე. სათადარიგო წევრები: პავლე მელაძე და ივანე ბერბე-

რამვილი. სახელმწიფო ბრალდებელი ნიკოლოზ ღკუჯავა. საზოგადო ბრალდებელი სერგო ქავთარაძე. დამცველები: ჩერქეზი ივანე, ტატიშვილი შალვა, გუბელაძე, რიკაძე, დიდიანი შოთა, ბოკერია გვგენი, პოლუმორცანიძე, ჯაფარიძე, ცხიქიძე, ნასიძე, ზედგენიძე ივანე, ტატიშვილი ანდრია, მაჭავარიანი იოსებ, გელაზაროვი და დვამიჩვა.


ბასუხის გებაში მიცემულია 47 კაცი:
მენშევიკები: გ. ანდრეიკაშვილი, დ. ონიანიშვილი, გ. ჯინორია, გ. ცინცაძე, ნ. ქარცივაძე, გ. ბელტაძე, ნ. კახიანი, ვ. ბილანიშვილი, ი. თანოშვილი, გ. ანჯაფარიძე, ვ. მამალაძე, ფ. შენგელია, ა. კალანდარიშვილი, შ. იოსელიანი, ს. ლაშხია, ე. ლატარია, ა. ძამაძია, ა. ფიხსაია, ა. თანგულია, პ. ხურციძე და ლ. ესვანჯია.

ერთვნილი-დემოკრატები: ი. ჯავახიშვილი, მ. იმსხელი, ს. სოფერია, შ. კალანდარიშვილი, ბ. პირველი, შ. თვალაძე, ვ. ნაცვალისხილი, ი. ავალიშვილი, ვ. ბერიძე. ესერები: მ. ბოჭორაშვილი, ივ. ლორთქიფანიძე, მ. ჭანიშვილი, ა. ბახტაძე, ვ. გეგუჭკორი, ნ. ნაკაშიძე. სხივლები: გ. გიორგაძე, ნ. იმნაიშვილი, კ. ნინიძე. სოციალ-ფედერალისტები: გ. რცხილაძე, ს. დადიანი, ა. ბოკერია, ა. ჩხაიძე, გ. გვგლიშვილი, ი. გაბლიანი, კ. ლორთქიფანიძე, ა. კვირიკაძე.

მოწმეთ გამოწვეულია 57 კაცი.
ბასუხის გებაში მიცემულთ ჰბრალდება: საქართველოს შეიარაღებული აჯანყების მოწყობა საბჭოთა მთავრობის დამხლების მიზნით; უცხო სახელმწიფოსთან კავშირი ინტერვენციის მიზნით; ტერორისტული აქტების მოწყობა და ჯაშუშობა.

ბრძოლმა გნსტანა 18 დღე. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: გ. ანდრეიკაშვილს, ი. ჯავახიშვილს, მ. იმსხელს და ჯინორიას. განსაკუთრებულ მოსაზრებათა გამომ ეს სასჯელი შეუცვალეს 10 წლის ციხეზე. ციხე მკაცრი იზოლიაციით მიუსაჯეს და არც აპატიეს—რვა-რვა წლით: ნ. კახიანს და ცინცაძეს; ხუთ-ხუთი წლით: ავალიშვილს, პირველს და ანჯაფარიძეს; სამ-სამი წლით: ბახტაძეს, ნაკაშიძეს, ბერიძეს, ბელტაძეს, ხურციძეს და სოფერიას. ყველას ჩუთვალეს ციხეში გატარებული დრო. დადიანი და რცხილაძე უდანაშაულოთ იცნეს და სრულიათ გაანთავისუფლეს. ნ. ქარცივაძე ამ საქმეში უდანაშაულოთ იცნეს. დანარჩენებს—მიესაჯა სამ-სამი წელი, მაგრამ ყველას აპატიეს, ს. ს. რ. კავშირის ცაკის მესამე სესიის დადგენილების თანახმად.

1 დღე. დილის სხდომაზე სასამართლომ შეამოწმა ბრალდებულების ვინაობა და ყველას სათითაოთ გამოჭკითხა, ჰქინდა თუ არა მიღებული საბრალდებლო



დასკვნა. შემდეგ ამისა სასამართლო შეკითხვა, თუ ვის რა ჭქონდა დამატებით განსაზღვრადებული ან მოწმეების გამოწვევის მხრივ, ან და სასამართლო გამოძიებისათვის საჭირო მასალების მხრივ. დამცველებმა და ბრალდებულებმა გააკეთეს მთელი რიგი განცხადება როგორც მოწმეების, ისე საქმეში შესატანი ზოგიერთი მასალის შესახებ. სასამართლომ ამ საგანზე მოითათბირა და გამოთქმული მდონივნილება დააკმაყოფილა. ამის შემდეგ შემოეყვანილ იქმნენ მოწმეები, რომელთაც, თანახმად კანონისა, ხელწერილი ჩამოერთვა, რომ სასამართლოს სრულ სიმართლეს ეტყვიან. სადამოს სხდომაზე ბრალდებულებს წაუკითხეს საბრალმდებლო ოქმი.


II დღე. დილის სხდომაზე დასრულდა საბრალმდებლო დასკვნების კითხვა, რის შემდეგაც სასამართლომ თავმჯდომარე პასუხებში მიცემულთ განუმარტავს ბრალდების მუხლებს. სასამართლომ დაადგინა ჯერ მოწმეების და მერე ბრალდებულთა დაკითხვა. სადამოს სხდომიდან იწყება მოწმეების დაკითხვა, რამაც გასტანა ხუთი დღე და გათავდა 21 ივლისის დილის სხდომაზე. მოწმეთა შორის მთავარი ფიგურაა სეთ დევდარიანი. დანარჩენთა შორის განიჩევიან ვ. თევზაია და მ. ადამაშვილი.

მოწმე თევზაია (სოფ. დემ. პარ. ცეკას წევრი და ფრაქციის ლიდერი დამფუძნებელ კრებაში—ესლა უპარტიო) მარტავს, თუ რა პირობებში ჩაისახა და შესდგა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“. მისი ჩვენებით, კომიტეტის მიზანი იყო: საინფორმაციო კონტაქტი პარტიათა შორის და შინაური შეხლა-შემოხლის აცილება და აგრეთვე ხელმძღვანელობა წესიერების დასამყარებლათ იმ შემთხვევისათვის, როდესაც წითელი ჯარი საქართველოს დასტოვებდა. თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ სად უფრო ადრე დაარსდა პარიტეტული ორგანო აქ, თუ საზღვარგარეთ, მოწმე მიუგებს—თუ სახეში მივიღეთ, რომ უკვე „თავისუფალ საქართველოს“ მეორე ნომერში დაბეჭდილი იყო განცხადება საერთო მუშაობის შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ პარიტეტული ორგანო საზღვარგარეთ უფრო ადრე დაარსდა.

მოწმე ადამაშვილი. (ეროვნულ-დემოკრ. პარტიის ცეკას წევრი). აჩვენებს, ერ.-დემოკრატიული პარტია დიდ ხანს არ თანხმებოდა „პარიტეტულ კომიტეტში“ შესვლას, ვინაიდან უნდობლობით უყურებდა ქართველ მენშევიკებს, რომლებმაც ასე ადვილათ წააკვს ბრძოლა და თითქმის წინააღიდეგობის გაუწევლათ დაყარეს იარაღი. ხოლო ესლა, არალეგალურ პირობებში, მით უფრო ნაკლებ იყო მოსალოდნელი მათ მიერ საქმის გამარჯვებისკენ წარმართვა. მაგრამ, რა კი ერთხელ „პარიტეტულ კომიტეტში“ შევიდა, პარტია მუშაობა გამთავრებდა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, მოწმე მიუგებს, რომ პარტიას ამ დროს თავისი სამხედრო კომისია ჰყავდა. ჩვენებიდან ირკვევა, რომ ქაქუცა ყოლოყაშვილი და მისი რაზმები თავდაპირველად არ დემოკრ. პარტიასთან იყო დაკავშირებული და მერე გადავიდა პარიტეტული კომიტეტის სრულს განკარგულებაში და მისგან დებულობდა ყოველივე განკარგულებას.

მოწმე ს. დევდარიანი აჩვენებს, რომ ის იყო ერთი იმათგანი, ვინც საბჭოთა ხელისუფლებასთან თავიდან ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. ძველი ხელისუფლების ადვილი დამარცხება, საბჭოთა რეჟიმის საბოლოო დამყარება, ლენინის ტეზისები და ორახელაშვილ-ლორთქიფანიძეს შორის ქუთაისში დადებული ხელშეკრულება, მოწმის აზრით, ერთად-ერთ გამოსავალს სტოვებდა—საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას და მოწმის აზრით, მინშევიკური პარტიაც ყოველ დონის ხმარობდა რომ ამისთვის მიმდინია და რომ ის რამზღლუციაც, რომელიც პარტია 10 აპრილს გამოიტანა, ამ თანამშრომლობის შესაძლებლობას გულისხმობდა. რეკვიმის შეკითხვაზე, მინშევიკური პარტიის გმკავს მაშინათვე განუცხადებია, რომ ინტერვენციასა და აჯანყებაზე იგი სრულათაც არ ფიქრობდა, ხოლო პრეფერენციის დიკტატურას კი ცნობდა. შემდეგ აღნიშნავს, რომ მის სოფელში ყოფნის დროს პარტია არალეგალურ ნიადაგზე დადგა, რაიც დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან რომ საქართველოს მთავრობა უცხოეთში იყო არა როგორც ემიგრანტი, არამედ როგორც მთავრობა. ეხება რა გენუის კონფერენციას, ამბობს—მოველოდით რომ იგი ჯარებს გააყვანიებდა. დევდარიანი აჩვენებს, რომ არალეგალური მუშაობის დროსაც, მენშევიკების ცეკა შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ იყო და ამის საბუთათ ის მოყავს, რომ დუშეთში ჩოლოყაშვილის გამოსვლების წინააღმდეგ პარტიის ორგანომ „საქართველოს ხმა“ მეთაური წერილიც დაბეჭდა და პარტიის რეზოლუციაც მოათავსა. შემდეგ მოწმე გვიამბობს პარიტეტული კომიტეტის დაარსების ამბავს და იმას რომ ამ კომიტეტს აზრათ აჯანყება კი არა ჭქონია, არამედ ძალაუფლების ხელში აღება, თუ რომ საბჭოთა ხელისუფლება დაეცემოდა; ამიტომაც სოფ.-დემოკრატიები ცდილობდნენ ამ კომიტეტში გაბატონებული მდგომარეობა ჭქონოდათ. თავმჯდომარის შეკითხვაზე, დევდარიანი მიუგებს, რომ „ჩეკაში“ მის წინააღმდეგ არავითარი ძალადობა არ უხმარიათ. მისივე შეკითხვაზე, თუ თულის საიდან დებულობდნენ, მოწმემ



მღწმე აჩვენებს, რომ, ხომერის თქმით, ერთ გზის ფული მეორე ინტერნაციონალმა შეგვიგროვავ. შეკითხვას, იგი უბასუხებს, რომ მას არ გაუგონია, რომ ჩილდრენის რაზმს ძარცვა-გლეჯა ჩაედინოს თუმცა მის გამოსვლების წინააღმდეგ 1922 წელს სოც. დემოკრ. პარტიამ ფურცლები გამოუშვა. ქავთარაძის შეკითხვას, მღწმე უბასუხებს, რომ საქართველს და რუსეთის დღევანდელ პირობებში საქ. სოც. დემოკრატიის ფორმულა: „დემოკრატიის სამუალებით სოციალიზმისაკენ“, რეაქციონერი არის...

დევდარიანის დაკითხვით დამთვარდა მღწმეთა დაკითხვა და სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. ბრალდებულთა შორის გენერალური ადგილი უჭირავთ კ. ანდრეიკაშვილს და ი. ჯავახიშვილს, — „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ბრენი დიუმს.

პირველათ დაჭიკითხეს „სხიველებს“: ბრალდებული გ. ვიორგაძე (სხიველი) აჩვენებს, რომ „სხიველთა“ ჯგუფი თავიდან დაადგა საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურ განწყობილებას და რომ მთავრობის ნებართვით საკუთარი გაზეთი გამოსცეს და ბიურცე გახსნეს. შემდეგ აცხადებს პარიტეტული კომიტეტის დაარსების ისტორიას და აცხადებს, რომ „სხიველთა“ ჯგუფი თავიდან აჯანყების წინააღმდეგ იყო და მასში მონაწილეობაც არ მიუღია. ბრალდებული ურიგდება მდგომარეობას და აცხადებს, რომ ის პოლიტიკურათ უკვე მკვდარი იყო.

ბრალდებული ნინიძეც აჩვენებს, რომ „პარიტეტში“ ყველა თანაბრათ შედიოდა და რომ გარეშე ყველა პარტიის თანხმობისა არავის შეეძლო რაიმე პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა. ბრალდებული აცხადებს, რომ არაფერი იცოდა ლენინის კონფერენციასზე შემდგომი გაგზავნის შესახებ. მას საჭიროთ მიაჩნია საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, თუ იქნება ბეჭდვის, სიტყვის და სინიღის თავისუფლება და მზადაა თავისი სუსტი ძალა მთავრობის განკარგულებაში იქონიოს.

ბრალდებული ბოჭორიშვილი (ესერი, „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრი) აჩვენებს, აჯანყების საკითხი პირველათ 1923 წ. ზაფხულზე დაიხვალ და მას შემდეგ მზადებაში ვიყავით. „დამოუკიდ. კომიტეტსაც“ ამ დროს დაუჭერია კავშირი ჩილდრენისა, ნაც. დემოკრატიების სამუალებით.

ბრალდებული ბახტაძე—(ესერი) აჩვენებს, რომ იგი მუშაობაში აჯანყებამდე ორი კვირით ადრე ჩაება. მას დავალებული ჰქონია იმ რაზმის ხელმძღვანელობა, რომელსაც უნდა აეღო საკომუნდანტო, სასანლე და ამიერ-კავკასიის ჯარების შტაბი. იგი გამოსვლებს ამართლებს და სწუხს, რომ მას აკტიური მოქმედება ხვდა წილათ.

ბრალდებული მის. იშხნელი (ნაც. დემოკრატი, ცეკას თავმჯდომარის მოადგილე) აჩვენებს, რომ იყო ჩრდილო კავკასიაში აჯანყების ძალების გამოსარგვევით, რომ იქ შეხვდა შეთაქმნილი მიტაცებს და მამინდარწმუნდა რომ ჩრდილო კავკასია სულაც მონაწილეობას ვერ მიიღებდა აჯანყებაში. ყოველივე ეს მან მანხენა „პარიტეტსაც“ და თავის პარტიის ცეკასაც. მისი ჩვენებით, აჯანყების საკითხი პარტიაში საბოლოოთ 1924 წელს აგვისტოში გადაწყვეტილა. ოკუპაციის შეკითხვასზე ბრალდებული ამბობს, რომ ჩილდრენის გამოსვლა 1922 წლის აგვისტო-სექტემბერში დ. ვახნაძის ჩაგვებით მოხდა, რისთვისაც ვახნაძე ცეკადან ჯერ გამორიცხულ, მაგრამ შემდეგში ხელახლა შემოყვანილ იქმნა. ბრალდებულის ჩვენებით, უცხოეთიდან მარტო დიპლომატიური დახმარება ყოფილა აღთქმული და არა რეალური. შეკითხვასზე, ბრალდებული აცხადებს, რომ პარტია წინააღმდეგი იყო ტერორისა და ექსპრობრიაციის და თუ ვინმემ ეს ჩაიდინა, ეს პირადი ნაბიჯი იყო და პარტიას ამასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. ოკუპაციის შეკითხვასზე, ბრალდებული აცხადებს, რომ არაფერი იცოდა ჩრდილო კავკასიაში ავალიშვილის, ნაკაშიძის და ბერიძის გაგზავნის შესახებ და რომ ამირაჯობი, რომელმაც ესენი გაგზავნა, წინააღმდეგი იყო აწერბაიჯანთან და მთიულეთთან ერთად გამოსვლის.

ბრალდებული იახინ ჯავახიშვილი. 37 წლის, ყოფილი აზნაური, საქართველს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ამავე პარტიის ცეკას წევრი 1919 წლიდან. პარიტეტულ კომიტეტის წევრი 1921 წლიდან, ე. ი. დდიდან დაარსებისა.

თავმჯდომარე. — „რა მიზანი ჰქონდა პარიტეტული კომიტეტის დაარსებას?“ — ჯავახიშვილი. „საქართველს დამოუკიდებლობის აღდგენა“. — თავმჯდომარე. „რა წესით იყო აწყობილი პარიტეტული კომიტეტი?“ — ჯავახიშვილი. „ჩვენს პარტიულ წრეებში თებერვლისა და მარტის დღეების შემდეგ დაიხვდა საკითხი ჩვენი დამოუკიდებულების შესახებ ხელისუფლებასთან. თითქმის ყველა იმ აზრის იყო, რომ თუ ხელისუფლება გაატარებდა ეროვნულ ხაზს, ჩვენც მას მხარში ამოუდგებოდით და შევეცდებოდით საქართველს დამოუკიდებლობის დაცვას და განვითარებას. ჩვენთვის გარდა ეროვნულ საკითხისა, სხვა საკითხებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა“. ბრალდებული აცხადებს, რომ მთავრობამ „არა ეროვნული ხაზი აიღო“ და ამის გამო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეუდგა მუშაობას „საქართველს დამოუკიდებლობის აღსადგენათ“, ამ მიზნით მოხდა შეთანხმება სხვა პარტიებთან, შეთანხმება მოხდა აგრეთვე საზღვარგარეთაც. პარიტეტული კომიტეტის შედგენის




შემდეგ, საზღვარგარეთის შეთანხმება გაუქმდა. შეთანხმება მოხდა გარკვეული ღონისძიების გარშემო. ჩვენ არ გვინტერესებდა ღონისძიების შესახებ, დემოკრატიის გზით თუ დიკტატურის საშუალებით წავიდოდით საციალიზმისაკენ. ამის გამო ბრალდებული შემდეგ ახსნას იძლევა. გაერთიანებულ ფრონტზე საზღვარგარეთ გულგრილად უყურებდნენ სოციალიზმის საკითხს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის დიდ თავსატეხს საკითხს სოციალიზმის საკითხი არ წარმოადგენდა. „ერთად ერთი საკითხი, რომლის გარშემო ტრიალდება დამოუკიდებლობის კომიტეტის მთელი მუშაობა, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო“.

შემდეგ ბრალდებული შეეხო „დამოუკიდებლობის“ კომიტეტისა და პარტიების ურთიერთობის საკითხს. მან განმარტა თვითიველი მათგანის მოვალეობა ამ მუშაობაში. ის აცხადებს, რომ არავითარი უპირატესობა არც ერთს პარტიას დამოუკიდებლობის კომიტეტში არ ჰქონია. „არ არის მართალი, თითქმის ვინმეს დიკტატურა ჰქონებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტში. ხომერგი ამ კომიტეტს ექვემდებარებოდა და მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა“.

პარტიულ კომიტეტის პირველი ხანის მუშაობის შესახებ ბრალდებული დაახლოებით იმგვარსავე დახასიათებას იძლევა, როგორც სხვები. ქარცივამის დაპატიმრების შემდეგ შემდგომ ახალი პარტიული კომიტეტი, რომელიც გარკვეულად დახდგომია აჯანყების გზას შეცვლილა აგრეთვე დამოუკიდებულება პარტიებსა და დამოუკიდებლობის კომიტეტ შორის. — „გადამჭრელი მნიშვნელობა უწინ პარტიებს ჰქონდა, ესლა გი თაღსნობა პარტიების ხელში გადავიდა. 1923 წლის ზაფხულზე ჩვენ პრაქტიკულად შეუდექით აჯანყების მოწყობას და ამოვიტრჩიეთ სამხედრო კომისია, რომელშიაც შედიოდნენ ხომერგი და წინამძღვარი იშვილი“. ბრალდებული აცხადებს, რომ პარტიეტი ამ ხანაში ეყრდნობოდა არა ამა-თუ-იმ კლასს, არამედ ყველა იმას, ვინც შეადგენდა ერს და არა კლასს. — რაც შეეხება საზღვარგარეთს, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ, თუ გავიმარჯვებდით, აღსდგებოდა ჩვენ შორის ნორმალური ურთიერთობა“. — პარტიულ კომიტეტს მიუღია „ზომები იმისათვის, რომ მეზობელი სახელმწიფოებიც ჩაეთრიათ აჯანყებაში, მაგრამ სომხებს უარი უთქვამთ, ახერბეიჯანთან კავშირი გაწყვეტილა, ხოლო ჩრდილო-კავკასიას ვერავითარი დახმარების გაწევა ვერ მოუხერხებია. აჯანყების მზადების შესახებ ბრალდებულმა განაცხადა, რომ „სხიველები“ და „ფედერალისტები“ აჯანყების წინააღმდეგ წავიდნენ. ამ რიგით დამოუკიდებლობის კომიტეტში დარჩა სამი პარტია. „ჩვენ ერთხმად გადაწყვიტეთ აჯანყება და გამოვედით კიდევ“ დასძინს ბრალდებული.

თავმჯდომარე — ჰკითხავს ბრალდებულს, ხომ არ შეუცვლია მას ზნობა თავის დახმარების შესახებ, ვინაიდან სასამართლოს შეკითხვას განსამართლების პირველ სხდომის დროს თავი დამნაშავეთ არ აღიარა. — ბრალდებული უპასუხებს, რომ ის თავს დამნაშავეთ არ სცნობს იმ ბრალდებებში, რომელიც საბრალმდებლო დასკვნაში არის მოყვანილი, რადგან მისი აზრით მას შეიარაღებული აჯანყება საქართველოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კი არ მოუწყვია, არამედ „რუსეთის წინააღმდეგ“, ეს იყო „ბრძოლა რუსთა ბატონობის წინააღმდეგ“. თავმჯ. „ჩლოცაშვილის ბადა“ კის ექვემდებარებოდა, პარტიულ კომიტეტს, თუ თქვენ პარტიას? — ჯავახიშვილი — „ჩლოცაშვილი ტყეში გავიდა თავისი ნებით და შემდეგ მოხდა შეთანხმება ჩვენს პარტიასა და მის შორის. ჩვენ ვსთხოვდით შეეჩერებია მას ყოველგვარი გამოხვლა, მაგრამ მაინც გვესმოდა, რომ ის თავისას არ იშლიდა. მაშინ ჩვენ იძულებული შევიქნით სავსებით ხელში აგვედო ჩლოცაშვილის ხელმძღვანელობა პარტიული კომიტეტის საშუალებით“. — თავმჯდომარე — „ახ რომ პარტიულმა კომიტეტმა თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა ჩლოცაშვილის ბადა“? — ჯავახიშვილი — „პარტიულმა კომიტეტმა თავის თავს იდეა ვალდებულება მატერიალური დახმარება გაეწია ჩლოცაშვილისთვის. ის კვლავ დარჩა დამოუკიდებელი, მხოლოდ ადგილთქვა, რომ არავითარ ექსცესებს არ ექნებოდა ადგილი, სანამ ჩვენ არ მოვიწვევდით, ე. ი. აჯანყებისათვის“. — სტურუა (სასამართლოს წევრი): იგი თუ არა თქვენ ნაციონალ-დემოკრატიის სალიკვიდაციო ყრილობის შესახებ და როგორ უყურებთ მის დადგენილობას. — ჯავახიშვილი: ვიცი, ჩვენ დავკმეთ ის და გამოუშვიტთ ორი პროკლამაცია. ამგვარად ჩვენ უკმაყოფილონი ვიყავით ჩვენი ყოფილი ამხანაგებისა“. — ოკუჯავა: ჩლოცაშვილის „შტაბში“ ყოფილხართ თუ არა? იგი — ვინ ჰყავდა მას დაახლოებული ხალხი? ხომ არ იცნობთ ლელო ჩიქვანს, ცნობები ხომ არ გქონდათ, რომ ის იქ არის. — ჯავახიშვილი: მე მოგასხენეთ, რომ პირადათ მე მქონდა კავშირი ჩლოცაშვილთან და ვინახულე ის აჯანყების დროს. ლელო ჩიქვანი იქ იყო, თუ არა, არ ვიცი, მე ვიყავი მასთან აჯანყების დროს, მაგრამ მახსოვს მხოლოდ ვაჩნამე, დანარჩენების გვარი არ ვიცი. — ოკუჯავა: თუ იგი თქვენ, წინანდალში რომ ხუთი კომკავშირელი მოჰყავდა ჩლოცაშვილმა 1922 წელში, რომ გამოიყვანა ოთხი ქართველი და ერთი სომეხი გლეხის შვილი და დახვრიტა. ნაციონალური საქმე იყო ეს? — ჯავახიშვილი: „ეს ფაქტი მე გავიგე საბრალმდებლო დასკვნიდან, მაგრამ მე მოგასხენებთ, რომ არავითარი დასტური მას ამ საქმეზე არ ჰქონდა და, რა თქმა უნდა, არავითარი ხანქ-



გია ამის შესახებ არ ჰქონია“. — ოკუჯავა: თქვენ შე-
პირდით მთას წინამძღვარიშვილის პირით, რომ თუ
ისინი დაგვხმარებინ, თქვენ შეგიძლიანთ მისგეთ მათ
50 სამხედრო ხელმძღვანელი. — ჯავახიშვილი: „უნდა
მოგახსენოთ, წინამძღვარიშვილი რა ჩამოვიდა, თავ-
ბრუ დამსხმელი მოხსენება გააკეთა. ამიტომ გავგზავ-
ნეთ იმხნელი, რომ გამოერკვია მდგომარეობა. მაგ-
რამ არაფერი იმის მსგავსი არ იყო. როცა გვითხრა
რომ 90 ათასი კაცია და 50 ოფიცერი უნდა გავგზავ-
ნოთ, ჩვენ თვითონ გვიკუჭვებოდა რომ ამდენი ყო-
ფილიყო და მართლაც ამდენი არ აღმოჩნდა. — ოკუ-
ჯავა: 1923 წელში ყაზახებთან კავშირი ჰქონდა თუ
არა პარიტეტულ კომიტეტს ლეო დგებუაძის სამუა-
ლებით? — ჯავახიშვილი: ჩრდილოეთში იყო მკვნი
ლეო დგებუაძე, ინახულა ვიდაც, მაგრამ ნახვა კავ-
შირს არ ნიშნავს. — ოკუჯავა: აჯანყებისთვის საგან-
გებოთ მიიღეთ ფული? — ჯავახიშვილი: ჩვენებაში
ნათქვამია ათი ათასი მივიღეთ“. — ოკუჯავა: ერთ-
ბრალდებულთაგანი ამბობს ჩვენებაში, რომ ბოლო-
ნეთის მხრივ ეს დახმარება კი არა, დაგინვა იყოველ.
ბოლონეთის ხელ არ იყო ეს ფული? — ჯავახიშვილი:
პირველად მესმის მაგის შესახებ. — ოკუჯავა: ვეშა-
პელს თქვენმა პარტიამ რაიმე გაკიცხვა გამოუტანა?
— ჯავახიშვილი: დიას, იმიტომ გავკიცხეთ, რომ მან
ძალიან უტატლო წერილი მიათავსა, „რუსკე სლო-
ვში“, რომელიც ალექსანდროვის რედაქტორებით
გამოდის. მან განაცხადა, საქართველო აჯანყებას
რომ აწყობდა ნიკოლაი ნიკოლაევიჩთან აწარმოებდა
მოლაპარაკებას; თქმა იმისა, რომ საქართველო უ-
კავშირდება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს, ნამდვილი
პროვოკაცია არის და სხვა არაფერი. — ოკუჯავა: ხე-
მკრივთან საუბარიც გქონდათ ფულის დახმარების
შესახებ თუ არა? — ჯავახიშვილი: თუ ჩვენ განვთა-
ვისუფლებდებით, მივიღებდით დახმარებას. — ოკუ-
ჯავა: როდესაც გადაწყდა, რომ აჯანყება უნდა მომ-
ხდარიყო საქართველოში, ვინ შეუთვალა ფულის გა-
მოგზავნა საზღვარ-გარეთ? თქვენ ჩვენებაში გაქვთ,
რომ როდესაც გადაწყდა აჯანყების საკითხი, კოტეშ
(ანდრეიკაქვილი) სწრაფად გაავსავნა წერილი ფულ-
ზე. — ჯავახიშვილი: ჩვენ ფული არ გვქონდა და
ვსთხოვდით ჩემს ამხანაგებს ცოტა მოეწოდებინათ.
სამწუხაროდ, ჩვენი თხოვნა უშედეგოდ დარჩა.


მესხიშვილის შეკითხვაზე, ბრალდებული უბა-
სუხებს, რომ სოც.-ფედ. წარმომადგენლები—სამსონ
დადიანი და გრიგოლ რცხილაძე წინააღმდეგნი იყ-
ვნენ ამ აჯანყების და ამის გამო გავიდნ პარიტეტი-
დანო.

კოტე ანდრეიკაქვილი(დამოუკიდებლობის კლ-
მიტ.თავმჯდომ. სოც.-დემ.)მოქალაქე მსაჯულნი!თით-
ქმის საქართველოს გასაბჭოების დღიდან ქართველმა

პოლიტიკურმა პარტიებმა გამოეცხადეს ხელისუფ-
ლებას ბრძოლა. 1921 წელს მოხდა ფაქტი,—საქართ-
ველს ოკუპაცია. როგორ მოვიქცენ ქართული პოლი-
ტიკური პარტიები დღიდან საქართველოს გასაბ-
ჭოებისა? შეეძლოთ მათ გამოეცხადებინათ ბრძოლა
ხელისუფლების წინააღმდეგ, თუ არა? დღეს კი—და-
მარცხების შემდეგ ამაზე ფიქრიც რასაკვირველია
აღარ შეიძლება. რა ხასი უნდა მიეღოთ მაშინ მათ?
რასაკვირველია ისინი ვერ შეურიგდებოდნ ოკუპა-
ციას! მაგრამ ბრძოლაზე ფიქრი მაინც შეუძლებელი
იყო. უნდა გამოენახათ გზა და ენა ასალ ხელისუფ-
ლებასთან. ჩვენმა პარტიამ ამოიჩნია დელეგაცია. მძვ
განლდით ამ დელეგაციაში. ვინახულეთ ფილიბე მა-
ხარაძე. შევეცადეთ გამოგვეჩინა საერთო გასაგები ენა.
განუცხადეთ, რომ ჩვენ ერთად ერთი გზა გვაქს—თა-
ნამშრომლობა საქართველოს კონსტიტუციის ფარგ-
ლებში. ფილიბე მახარაძემ მოიხინა ეს მოხსენება და
განაცხადა:—„ეგ არის დელეგაციის აზრი, ჩვენთვის
კი სასურველია გავიგოთ პარტიის აზრი“. თქვენ
იგით, რომ ამის შემდეგ თბილისში მოხდა ყველა
სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ყრილობა.

ამის შესახებ თქვენ მოისმინეთ და მე აღარ შე-
ვეხები პარტიულ მიწმის, სეით დევდარიანის
ჩვენებას. — იყო გაკეთებული მოხსენება და ჩვენ გა-
მოვიტანეთ ცნობილი ათი აპრილის რეზოლუცია.
მე არც ამ რეზოლუციას შევეხები, ვინაიდან მის შე-
სახებ საკმარისათ ილაპარაკეს დევდარიანმა და თევ-
ზაიამ. მხოლოდ მე მინდა აღვნიშნო ის ფაქტები,
რომლებიც გამოტოვებული იყო. 10 აპრილის შემდეგ
ჩვენ დავინახეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება იღებს
ჩვენ წინააღმდეგ ზომებს, რომ ჩვენ გვისპობენ ლეგა-
ლურ არსებობის სამუალებას. შემდეგ, 1922 წელს გა-
დაწყდა საკითხი ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესა-
ხებ. ამ დღიდან იკარგება საქართველოს დამოუკიდე-
ბლობა, რომელიც მას კიდევ შერჩა გასაბჭოების შემ-
დეგაც. საქართველო შევიდა ფედერაციაში არა უშუა-
ლოთ, როგორც ასეთი. ამით საქართველოს დაეკარგა
დამოუკიდებლობა როგორც პოლიტიკური, ისე ეკო-
ნომიური. აქ იბადება იდეა დამოუკიდებლობის აღდ-
გენისა. საქმიდანაც ხჩანს, რომ სწორეთ 1922 წელს
ავვისტოდან ჩაეყარა საფუძველი დამოუკიდებლობის
კომიტეტს. აქედან იწყება ბრძოლა, ბრძოლა, თუ შე-
იძლება ასე ვსთქვათ, არალეგალური.

პირველ პერიოდში ამ დამოუკიდებლობის კლ-
მიტეტს თავმჯდომარეობდა დღეს ბრალდებული ქარ-
ცივაძე და, როგორც მოგახსენათ მან, დასვა საკითხი
აჯანყების შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ
გამოერკვიათ, თუ რა ძალას წარმოადგენდა, რა შე-
ძლება ჰქონდათ მათ! როცა მე ჩაუდექი დამოუკიდე-
ბლობის კომიტეტს სათავეში, წინანდელი კომიტეტი



საგან არავითარი შემკვიდრება არ მიმიღია: არც ორგანიზაციული და არც სამხმდრო. როცა მე შევედი თავმჯდომარეთ დამოუკიდებლობის კომიტეტში, იქ დამხვდა მხოლოდ იასონ ჯავახიშვილი. არავითარი წარმომადგენლები სხვა პარტიებისა არ იყვნენ. ჩემს შეკითხვაზე — თუ თატომ არ არიან, ჯავახიშვილმა მიპასუხა, რომ დაჭერების შემდეგ აღარ მოხუდლანო. მაშინ მე ვიკისრე გამოემტკვია, რომელი პარტია არ გზავნიდა ჩვენთან თავის წარმომადგენელს. მე მინდოდა მათთან მოლაპარაკება, რომ მოეცათ წარმომადგენლები და, უნდა მოგახსენოთ, ეს მე ვერ მოვახერხე, გარდა ესერებისა. „სხიველებს“ არ ჰყავდათ კაცი ჩვენთან, ფედერლისტებიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა მოვიდნენ. დამოუკიდებლობის კომიტეტმა ჩემის თავმჯდომარეობით აიღო ხელისუფლებასთან ბრძოლის ნამდვილი ხაზი. მას წინ უძღვოდა მთელი რიგი რეპრესიების. ობოლადის მოკვლის შემდეგ მოხდა მასიური რეპრესია. მე მახსოვს ის დღე, როდესაც შევხვდი იასონ ჯავახიშვილს და ვთქვით რომ აღარ არსებობს საერთო ენა საბჭოთა ხმლისუფლებასთან. ვგდილობდით გამოგვეჩინა სახეთი ენა დიპლომატიური საშუალებით, მოლაპარაკებით და შიგნით ეს გამწვავებული მდგომარეობა გაგვეჩელებია, მაგრამ დღეს აღარ არის საერთო ენა. ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა!! აქედან იწყება აჯანყების საკითხის გაშუქება, მისი ბრაქტიკულად დასმა-გადაჭრა. შეუდექით ენერგიულ მზადებას. შესდგა სამხედრო კომისია, რომელსაც დაევალა ორგანიზაციული მხარე. „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ჩემის თავმჯდომარეობით განსხვავდებოდა ქარცივადის დროინდელი დამოუკ. კომიტეტისგან. „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ ჩემის თავმჯდომარეობით მართლაც დამოუკიდებელი იყო პარტიებისგან იმდენათ, რამდენადაც ქარცივადის დროს იგი დამოუკიდებელი იყო პარტიებისგან. მის დროს „დამოუკიდებლობის კომიტეტში“ გადათიოდა საკითხები გენტრალური კომიტეტებიდან, ჩემ დროს კი საკითხები ისძებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტში, სწყდებოდა აქ და საბოლოოდ სანქციის მისაღებათ გადადიოდა პარტიების გენტრალურ კომიტეტებში.

შემდეგ ბრალდებულნი აღნიშნავს, რომ სამხედრო კომისიას ჰქონდა ავტორმატიური უფლება და რომ ფაქტიურად მასში შედიოდნენ ხდგ.-დემოკრატები და ნაგ.-დემოკრატები, რომელთა საშუალებითაც ეწყობოდა აჯანყება. ბრალდებულის ჩვენებით, სამხედრო მუშაობა კარგათ მიდიოდა და 23 წლის შემოდგომაზე აჯანყებას უკვე საკმაოდ მომზადებულათ სთვლიდნენ. და საბოლოოდ სანქციის მისაღებათ ეს საკითხი პარტიათა გენტრალურ კომიტეტებში გადასულა. აჯანყების მოხდენის წინა ხანებში გამოჩნდებოდა,

რომ მეზობლები მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ; მაგრამაო, ამბობს ბრალდებული, საქართველომ გადასწყვიტა თავის ტალღებით გამდგვალ... ჩვენი გეგმა იყო ასეთი: ადგებოდა ქართლი, კახეთი, ბორჩალო და შემოვარტყამდით ალყას თბილისს. აქ პირველი ამოცანა ჰქონდა ვაზიანს. მოვსხვებოდათ, რომ კახეთში აჯანყებას მასიური ხასიათი არ მიუღია. ეს აიხსნება იმით, რომ კახეთის გლეხკაცობა არ არის საკმარისათ შეგნებული. აი აქედან უნდა მოხულიყო დახმარება ვაზიანში; მაგრამ საბედისწერო გამოდგა ერთი დღე — ჭიათურა გამოვიდა ერთი დღით უფრო ედრე. ამის გამო დასავლეთ საქართველოშიაც სწრაფად ჩააქრეს აჯანყება, მთავრობამ, რა თქმა უნდა მიიღო ყოველივე ზომა, რადგან ჭიათურის ამბებმა ის გააფრთხილა. ჩვენ დავმარცხდით, დამოუკიდებლობის კომიტეტი მთლად ჩავარდა. მთელი მისი შემადგენლობა დაჭმრილ იქმნა. ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ უნდა გადაგვიჩინა, რისი გადარჩინაც მიიძღობოდა. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვეჩინა ავანტიურათ მს აჯანყება და აი მაშინ გამოვპციით ჩვენი ცნობილი დეკლარაცია. აი ჩემი განმარტება მოკლავით:


მს აჯანყება დამარცხდა ფიზიკურათ, მაგრამ მორალურად არა და ამიტომ მორალურათ არ ვგრძნობ თავს დამნაშავეთ,

თავმჯდომარე: „სანამ თქვენ აჯანყების დროს დანიშნავდით, არ მოითხოვით საზღვარგარეთის ბიუროსაგან ამის შესახებ მისი აზრი და სანქციაო“?

ანდრეიკაშვილი: „ჩვენ ნოდია გავგზავნით მოხსენების გასაკითხლათ და ვთხოვდით საზღვარგარეთის ბიუროს, გვანდობით რამდენათ ხელსაყრელია დღეს გამოვხვდებით საპროტომდროსო სიტუაციის მიხედვით. მს სანქცია კი არ არის, არამედ უბრალედ დასკვნა.

თავმჯდომარე: „როგორ ფიქრობთ ბრალდებულ ანდრეიკაშვილ, ნოდიას რომ სხვანაირი პასუხი ჩამოეტანა, აჯანყებას მოახდინდით“?

ანდრეიკაშვილი: იმათ რომ უარი შემომთვალათ, ჩვენ მაინც გამოვიდოდით...



ბრალდებული გრ. რეხილაძე (სოც.-დემოკრატი- სტი, პარტიის წარმომადგენელი პარიტეტულ კომიტე- ტში 1923 წ. თებერვლამდე) აჩვენებს, რომ ამ ორგა- ნიზაციის დანიშნულება იყო საქართველს დამოუ- კიდებლობის აღსადგენათ მძიმედებისა და პოლიტი- კის გაერთიანება. კომისია უნდა შემდგარიყო რომ გამეძია დემოკრატიული საქართველს დაცემის მიზნებში, რომ დამნაშავენი პასუხისგებაში ყო- ფილიყვნენ მიცემულნი. ბრალდებულის ჩვენებით, ის პარიტეტიდან გამოვიდა, რადგან აჯანყების საკი- თის გამომყოფელთვის უთანხმოება ჰქონდა.

ბრალდებული ონიამვილი (მენშევიკების ცეკას პრეზიდიუმის წევრი, ყოფილი მიწადმოქმედების მი- ნისტრი). აჩვენებს, რომ მის შეკითხვას, თუ ვერცა რა დახმარებას გაუწევდა საქართველს დამოუკიდე- ბლობის აღდგენის საქმეში, ხომერვიკს განუცხადებია, რომ ეს დახმარება დიპლომატიური ხასიათისა იქნე- ბოდა. „თუ აჯანყების საკითხი რეალურათ დაისვა, ვერცა დიპლომატიურათ ჩაერგვა და დახმარებას აღ- მოგვიჩენსო“, ამბობდა თურმე ხომერვიკი.

ბრალდებული ნაპ. კახიანი (სოც.-დემ. პარტიის წევრი). აჩვენებს, რომ 1922 წლამდე სცხვრებოდა საქართველში არალეგალურათ; რომ არალეგალურ- ათვე წავიდა საზღვარგარეთ და რომ არალეგალურათ დაბრუნდა საქართველში 1923 წ. თებერვალში; რომ იგი იყო იყო პარიტეტული კომიტეტის განკარგულებაში და აწყობდა სამხედრო ორგანიზაციებს.

ბრალდებული ჯინორია (სოც.-დემ. ცეკას პრე- ზიდიუმის წევრი). აცხადებს, რომ იგი იყო პარიტე- ტულ კომიტეტთან და ხელმძღვანლობდა სამხედრო მუშაობას. ათი დღით ადრე, ვიდრე აჯანყება მოხდე- ბოდა, იგი გაგზავნილი ყოფილა დასავლეთ საქართ- ველში, როგორც რწმუნებული დამოუკიდებლობის კომიტეტისა.

ნ. ქარცივაძე (სოც.-დემოკრატი, 1922 წელს თავ- მჯდომარე პარიტეტული კომიტეტის). ამბობს, რომ 1922 წელს მან დასვა აჯანყების საკითხი, მაგრამ უნ- და მოეხსნა, ვინაიდან გრ. რეხილაძე ამის წინააღმ- დეგ გამოვიდა. კატეგორიულათ ვაცხადებ, პარიტე- ტული კომიტეტის არც ერთ სხდომასზე ინტერვენცი- ის საკითხი არ ყოფილა დასმული. პირადათ მე არ მჯეროდა რომ რომელიმე სახელმწიფოს ეს ედვა თავის თავზე, ისე რომ ამას მსოფლიო ღმი არ მოყოლოდა. ხოლო ასეთ სხვერბლს ჩვენთვის არავინ გაიდებოდა. ქარცივაძის ჩვენებით გათავდა ბრალდებულთა და- კითხვა.

ბრალდებულთა დაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ორივე მხა- რემ, ბრალდებულებმა და დამცველებმა უკანასკნე- ლი სიტყვა სთქვა ბრალდებულმა ანდრეიკაშვილმა.

უადგილობის გამო ეს სიტყვები აქ გერ მდვიყვანეთ. საერთოდ, მთელი მასალა ამ პრცესის შესახებ, რო- ძელიც ამ ნომერში მიეჭრება, მოყვანილა საბჭოთა გაზეთების მიხედვით, როგორც თბილისისა ისე მოს- კვის. ეს გარემოება ნებას უკრძალავს ვთქვათ, რომ შეიძლება სულაც გამტრვებული იყოს, როგორც ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებიდან ისე ბრალმდე- ბელთა და დამცველთა სიტყვებიდანაც ბევრი ისეთი მომენტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რო- გორც აჯანყების, ისე საოკუპაციო ხელისუფლების დასაფასებლათ და რასაც შეიძლება ფართო გა- მოხმარება გამოეწვია როგორც შიგნით, ისე გარეთ. ჩვენ იმულებული ვართ ჯერჯერობით იმით დავკმა- ყოფილდეთ, რაც არის და პრცესის ამის ფარგლებ- ში გავარჩიოთ,—მაგრამ ამასვე მომავალ ნომერში.

ღრმათ დამწუხრებულნი აკ. ასათიანი, გ. კა- ხიანი და გ. თაყაიშვილი აუწყებენ ნაცნობ-მე- გობართ მათი ამხანაგის და მეგობრის, ნიჭიე- რი ქართველ ახალგაზრდის

და თ ი კ ო ლ ო მ თ ა ძ ი ს

უღრმეთ გარდაცვალებას საქართველოში.

ქართველ სტუდენტთა შორის.

—ღრამატიული წრე. საფრანგეთში მყოფ ქართ- ველ სტუდენტთა კავშირთან დაარსდა ქართული ღრამატიული წრე, რომლის მიზანია წარმოდგენების გამართვა საქველმოქმედო მიზნით. წრის გამკება ითხვავს მიაწოდონ ქართული პიესები და „ჩანგი“.

—ბოლშევიკების ოინები. საქართველს პატრიოტუ- ლი ახალგაზრდობა „თეთრი გიორგი“-ს მიერ პარიზის მისამართით დაგზავნილმა დეკლარაციის ზოვიერთ ამანათმა, თავი მოსკოვში ამოჰყდა და „რევიზიის“ შემდეგ მოსკოვის საფოსტო ბუქედ-დასმული კვლავ პარიზში დაბრუნებულ იქმნა.

ინციდენტი ქართველ კოლონიაში.

კვირას 9 ამ თვეს ნაშუადღევს სამ საათზე ქართველ ბოლშევიკებს კრება გაუმართავთ კაფე „Voltaire“-ში, რომ დააერსებიათ ქართველ ბოლშევი- კების საბჭოთა კოლონია. კრებას დასწრებია დაახ- ლოვებით 25 კაცამდე. კრებას ხელმძღვანელობდა პრე-



წიდიუმი შემდგარი: ვეშაპელისა, მიწიშვილისა და ალიხანაშვილისგან. საათის 4-ზე ოცამდე ქართველი ახალგაზდა პატრიოტი სხვადასხვა მიმართულებებისა, და ორგანიზაციის მისულა და ერთბაშად შეჭრილა სხდომის დარბაზში და ყვირილით: „სამშობლოს გამყიდველებოდ“ დაიწყო დამსწრეებს. გამართულა ცხარე ბრძოლა. ბევრი დასისხლიანებულა. კარფანჯარა, სკამები და მაგიდები სულ მიულეწ-მიულეწიდა. კრებაზე დამსწრენი ძალზედ ნაცემნი გაქცეულ-გამოქცეულან. ახალგაზდა პატრიოტებს სამჯერ უმღერნიათ „დიდება“ სხდომის დარბაზში და მერე გარეთ გამოხსულან, რომ პოლიციისთვის დაეცადნათ. ამასობაში პოლიციაც მოსულა; მას დაუპატიმრებია 19 ვაგი, აქედან 16 ახალგაზდა პატრიოტი, რომელიც მერე დღეს გამოუშვეს, და სამი კომუნისტი: მიწიშვილი, დემეტრეშვილი და ალიხანაშვილი, რომელთაც საფრანგეთიდან ასახლებენ. ამ ინციდენტმა პარისის პრესსა შემოიბრინა.

წერილები რედაქციის მიმართ.

I.

დ. პ. ბ-რ რედაქტორო,

გაზეთ „ახალ საქართველო“-ში ბ. ვეშაპელი საქართველოს პატრიოტულ ახალგაზრდობა „თეთრი ვიორჯი“-ს უწოდებს ქართველ ფაშისტთა ჯგუფს. ნება გვიბრძოთ თქვენი ორგანოს საშუალებით გაუწყობთ ქართველ საზოგადოებას, რომ ჩვენ კატეგორიულად უარყვოდეთ ჩვენი ლიგის ამ სახელით მონათვლას.

ერთვნილ ბრძოლის ნიადაგზე ჩვენთან ერთდება ყველა ქართველი ახალგაზრდა განუზრუნვლად მისი პოლიტიკური მსოფლ მხედველობისა, სოციალისტიკი იგი თუ არა.

ბ. ვეშაპელს ალბათ სჭირდება—ფაშისტათ მონათლეს ყველა ის, ვინც მოხკვლის აგენტების ფულით არ ვაჭრობს.

საქართ. პატრ, ახალგ. „თეთრი ვიორჯი“. ვთხოვთ ქურნალ „ბრძოლას“ გადაბეჭდოს ეს ცნობა.

II.

დ. პ. ბ-რ რედაქტორო,

უმორჩილესათ ვთხოვთ საშუალება მომცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით განვაცნადო შემდეგი:

გასული წლის ბოლო რიცხვებში სუვორნის გაზეთიდან გავიკე ბ. ვეშაპელის ხელმძღვანელობით „ახალი საქართველო“ გამოხვლა. მაშინათვე ლეგაციაში წერილი ვაფრინე მის გადასაცემათ — ვთხოვდი „ახალი საქართველო“ გამოგზავნას. და მართლაც, მას შემდეგ ის წყალდება არ მაკლებს; ეს ცოტაა, „ფლტაში“ ვი გამომჭიმა გაზეთი ვეგზავნებოდ. რომ ვინმე გაუგებრობაში არ შევიდეს, ვაცხადებ რომ მე იმ ვეშაპელთან, რომელმაც მოხკვლის ოქროს ანაცვალა ყველაფერი, რომელიც იუდას როლში გამოვიდა

სამშობლოს წინაშე და მტრისგან მოყენებულ ჭრილობაზე გამყოფილებით გვეკლავით სისინებს, მასთან და მის პატრონ ჯაბრთინთან ერთად რაიმე საერთოდ არ მაქვს, არამედ სიკვდილამდის დაუძინებელი მტერი ვიყავ და ვიქნები. ჩემი წერილის მიწერა გამოიწვია კოლხიანზე დამორებად და საუბედუროდ სწორი ინფორმაციის უქონლობამ.

მიიღეთ ჩემი უმდაბლესი სალამი და სხვ.

პატივის ცემით შ. ხარ ჯველაძე.

ქ. ბორდო 4-VIII.

III.

დ. პ. ბ-რ რედაქტორო,

ვთხოვთ ეს წერილი თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოათავსოთ.

მოხკვლის ერთგულ ლაქიას—ბ. ვეშაპელს.

თქვენგან მივიღეთ შემდეგი შინაარსის წერილი:

„ახალ საქართველო“ №7 დაბეჭდილი იყო შემდეგი ცნობა: „საქართველოს მთავრობა სამშობლოში საბუთად იწვევს ყველა ახალგაზდას, ვინც აგრძნობიული სწავლა დაასრულა ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში მყოფთაც, რომელთაგან ბევრი დღეს უბრალო მუშად მსახურობს ქარხნებში.“

ეს ამბავი მღვიდა საბჭოთა საელჩოში ტელეგრამით, შ. ელიავას ხელმოწერილი. ტელეგრამაში სხვათა შორის მოხსენებული იყო შენი და რამიშვილის გვარი. თუ მოსხუროვებთ რაიმე ნაბიჯის გადადგმას ამ მხრივ, მე მზად ვარ საჭირო ცნობები მოგაწოდოთ.“

ჩვენი პასუხი სულ მოკლეა. საბჭოთა მთავრობის მისამართს უთქვენოთაც კარგათ ვიცნობთ, ხელე იგი არაფერში ვგჭირია. ბოდიშს ვინდით, თუ ამ შემთხვევაში გაუეფტი მოვიცდათ და თქვენდა უნებურად ბატონს ვერ ასიამოვნეთ. მაგრამ იმედია თქვენისთანა „რეალისტი“ სხვა ფრივ შეეცდება ამ მარცხის გამოსწორებას ბატონის წინაშე. მოხკვლის „ბურბუარები“ სავსებით თქვენზეა დამოკიდებული და დვთის წყალბით საამისოდ არც ნიჭი და არც ასპარეზი გაკლიათ. თუ სხვაგან ვერ გამოდევით, ლაქიობაში, პირმოდინებით არ იქნება ეს ნათქვამი, დიდს იმედებს იძლევით და აბა თქვენ იცით, გულს ნუ გაიტყნთ და ამ „ძნელ მამულიშვილურ“ საქმიანობაში, რომელსაც თქვენ ასე სამაგალითოდ ეწევით, იმხნევით იმით, რომ მადლიერი სამშობლო თქვენისთანა „უანგარო“ და „სპეტაკ“ მოდგაწეს ჯეროვანად დაათავსებ.

აგრძნობები: ვ. ცინქიშვილი, ი. რამიშვილი.